სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 28

2015 წლის 09 მარტი

ქ. თბილისი

2015 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების დაკომპლექტების, წრთვნისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 30 იანვრის N58 ბრძანებით დამტკიცებული დანართი N1.2-ისა (საერთაშორისო ოლიმპიადების ქვეპროგრამა) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „2015 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების დაკომპლექტების, წრთვნისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების პროცედურები და პირობები" ამ ბრძანების დანართი №1 -ის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს 2015 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატებისათვის ჩასატარებელ შესარჩევ ტურში მონაწილის სააპლიკაციო განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს წინამდებარებრე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ .№6).

მარინე ჩიტაშვილი